

**COVID-19-ით დაავადებულთა და მათთან კონტაქტირებულთა სამედიცინო მეთვალყურეობიდან მოხსნისა და ტესტირების ჩატარების წესი**

**ბინაზე დატოვება/საკარანტინე სივრცეში გადაყვანა რეკომენდებულია:**

უსიმპტომო და მსუბუქი სიმპტომების მქონე **1-დან 65 წლამდე ასაკის** COVID-19-ით პაციენტებისთვის, რომელთაც **არ აქვთ** რომელიმე **თანმხლები ქრონიკული დაავადება** (ჰიპერტენზია, გულის კორონარული დაავადება, გულის უკმარისობა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, ბრონქული ასთმა, შაქრიანი დიაბეტი, სიმსუქნე, ონკოლოგიური პათოლოგიები, აივ ინფექცია/შიდსი და სხვ.) ექიმის გადაწყვეტილებით.

COVID-19-ის მქონე პაციენტებისა და მათთან კონტაქტირებული პირების მეთვალყურეობაზე ყოფნის დასრულება/გაწერა და მასთან დაკავშირებული ტესტირების ჩატარება SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამოვლენის მიზნით ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:

**1. ბინაზე/საიზოლაცია სივრცეში (სასტუმრო) მეთვალყურეობაზე მყოფი:**

**ა) უსიმპტომო პაციენტი:**

- ექვემდებარება იზოლაციას დამადასტურებელი სინჯის (ზემო და/ან ქვემო სასუნთქი გზებიდან აღებული მასალა SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამომვლენი ტესტირების ჩატარების მიზნით) აღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;
- იზოლაცია სრულდება SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამომვლენი ტესტირების გარეშე;
- პაციენტს ენიჭება გამოჯანმრთელებულის სტატუსი.

**ბ) მსუბუქი სიმპტომების მქონე პაციენტი:**

- ექვემდებარება იზოლაციას დამადასტურებელი სინჯის (ზემო და/ან ქვემო სასუნთქი გზებიდან აღებული მასალა SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამომვლენი ტესტირების ჩატარების მიზნით) აღებიდან მინიმუმ 10 კალენდარული დღის განმავლობაში;
- იზოლაცია სრულდება მინიმუმ 10 კალენდარული დღისა და სიმპტომების ალაგებიდან დამატებით 3 უსიმპტომო დღის გასვლის შემდეგ, SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამომვლენი ტესტირების გარეშე;
- პაციენტს ენიჭება გამოჯანმრთელებულის სტატუსი.

**2. საავადმყოფოში მოთავსებული:**

**ა) უსიმპტომო პაციენტი:**

- ექვემდებარება საავადმყოფოდან გაწერას დამადასტურებელი სინჯის (ზემო და/ან ქვემო სასუნთქი გზებიდან აღებული მასალა SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამომვლენი ტესტირების ჩატარების მიზნით) აღებიდან 10 კალენდარული დღის შემდეგ, SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამომვლენი ტესტირების გარეშე;

ან,

- საიზოლაციო სივრცეში (კოვიდ-სასტუმროში, ან ბინაზე) გადაყვანას ნებისმიერ ვადაზე (აღნიშნული 10 დღიდან). ამ შემთხვევაში იზოლაციის ვადა აგრძელებს უკვე დაწყებულს, SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამომვლენი ტესტირების გარეშე;

საიზოლაციო სივრცეში (კოვიდ-სასტუმროში ან ბინაზე) გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღება ორი ექიმის (მკურნალი და განყოფილების გამგე) გადაწყვეტილებით, რომელთაც შესაძლებლობის შემთხვევაში დაემატება სამინისტროს მიერ მივლენილი მობილური ჯგუფის ექსპერტი.

### **ბ) სიმპტომების მქონე პაციენტი:**

- ექვემდებარება საავადმყოფოდან გაწერას დამადასტურებელი სინჯის (ზემო და/ან ქვემო სასუნთქი გზებიდან აღებული მასალა SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამომვლენი ტესტირების ჩატარების მიზნით) აღებიდან მინიმუმ 10 კალენდარული დღისა და სიმპტომების ალაგებიდან დამატებით 3 უსიმპტომო დღის გასვლის შემდეგ, SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამომვლენი ტესტირების გარეშე;
- საიზოლაციო სივრცეში გადაყვანას ნებისმიერ ვადაზე (აღნიშნული დღეებიდან). ამ შემთხვევაში იზოლაციის ვადა აგრძელებს უკვე დაწყებულს, SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამომვლენი ტესტირების გარეშე;
- საიზოლაციო სივრცეში (კოვიდ-სასტუმროში ან ბინაზე) გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღება ორი ექიმის (მკურნალი და განყოფილების გამგე) გადაწყვეტილებით, რომელთაც შესაძლებლობის შემთხვევაში დაემატება სამინისტროს მიერ მივლენილი მობილური ჯგუფის ექსპერტი.

### **3. კონტაქტირებული პირები:**

- ექვემდებარებიან იზოლაციას დაავადებულთან კონტაქტის შეწყვეტიდან 12 დღის მანძილზე;
- იზოლაციის მე-12 კალენდარულ დღეს ან ნებისმიერ ეტაპზე მათ უტარდებათ SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამომვლენი ტესტირება, მხოლოდ COVID-19-ის სიმპტომების გამოვლენისას.

**შენიშვნა:** SARS-CoV-2-ის ანტიგენის გამომვლენი ტესტირება - პჯრ დიაგნოსტიკა, ან სწრაფი ტესტირება ანტიგენზე (აღიარებული ეროვნული მარეგულირებლის ან FDA მიერ, ან განსაზღვრული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კოვიდ-19 სადიაგნოსტიკო საშუალებების ნუსხის ფარგლებში).